პროფესიული განათლებისა და მომზადების ეროვნული

პროფესიული საბჭოს სხდომის

ოქმი

30 აგვისტო, 2013

(საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საკონფერენციო დარბაზი, 17 სთ)

სხდომის დღის წესრიგი:

1. **სხდომის გახსნა და დღის წესრიგის გაცნობა** - ქეთევან ნატრიაშვილი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე;
2. **მცირე ანგარიში 2013 წლის ჩარიცხვის ახალი მოდელის მოსამზადებელი სამუშაოების შესახებ** - თამარ ქიტიაშვილი, პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;
3. **პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების განხილვა** - დავით ლომინაშვილი, სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი;

   დისკუსია
4. **პროფესიული სტუდენტების დაფინანსების წესის განხილვა** - ლაშა საღინაძე, ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი;

   დისკუსია
5. სხდომის შეჯამება და დახურვა.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. **ქეთევან ნატრიაშვილი** - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე;
2. **ნინო ზერიანიძე** - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური ანალიზისა და პოლიტიკის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი;

3. **მარინა ჟვანია** - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისა და განათლების აღიარების სამსახური უფროსი;
4. **ნათელა პაპუნაშვილი** - სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „აისი“;
5. **ლაშა ბლიაძე** - საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება;
6. **ნინო ღაღანიძე** - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო;
7. **დანიელ დავითაშვილი** - საქართველოს პროფესიული განათლებისა და კვალიფიციური მომზადების მუშაკთა და სტუდენტთა პროფესიული კავშირის თავჯდომარე;
8. **ქეთევან ჯაყელი** - მუნიციპალური მომსახურების უზრუნველყოფის ეროვნული ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი;
9. **ლიანა ზამბახიძე** - საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატა;
10. **დავით ლომინაშვილი** - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი;
11. **ლაშა საღინაძე** - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენის უფროსი;
12. **ნიკოლოზ მესხიშვილი** - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის სოციალური პარტნიორობის ხელშეწყობის სამმართველოს უფროსი;
13. **თამარ ქიტიაშვილი** - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;
14. **კახაბერ გვანცელაძე** - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქ-ტურის სამინისტრო;
15. **მაკა კურდღელია** - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის პოლიტიკის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;
16. **თამარ კაკუტია** - გამოცდების ეროვნული ცენტრი;
17. **სერგო მაისურაძე** - საქართველოს პროფესიული განათლებისა და კვალიფიციური მომზადების მუშაკთა და სტუდენტთა პროფესიული კავშირის თავჯდომარის მოადგილე;
18. **გიორგი ბერაია** - კოლეჯი „გეორგია“;
19. **ნათია გვირჯიშვილი** - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის სოციალური პარტნიორობის ხელშეწყობის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი;

სხდომა გახსნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილემ, ქეთევან ნატრიაშვილმა და დამსწრე საზოგადოებას მადლობა გადაუხადა მობრძანებისათვის. ქალბატონმა ქეთევანმა განაცხადა, რომ მნიშვნელოვანია საბჭოს წევრების შენიშვნებისა და მოსაზრებების გათვალისწინება პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულებისა და პროფესიული სტუდენტების დაფინანსების წესის დამტკიცებამდე (მიუხედავად იმისა, რომ ეს საკითხები ეროვნულ პოფესიულ საბჭოზე არაერთხელ იქნა განხილული). ასევე აღნიშნა, რომ აქვს დღის წესრიგში შეტანილ საკითხებთან დაკავშირებით კონსტრუქციული თანამშრომლობის იმედი.

დანიელ დავითაშვილმა განაცხადა, რომ არსებობს უამრავი კითხვა პროფესიული უნარების ტესტთან დაკავშირებით და ასევე აღნიშნა, რომ არსებობს ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული ორი ბრძნება, რომელიც ეწინააღმდეგება პროფესიული განთლების შესახებ კანონს.

პროფესიული უნარების ტესტთან დაკავშირებით დანიელ დავითაშვილს ქეთევან ნატრიაშვილის მხრიდან გაეცა პასუხი, რომ აღნიშნული საკითხების განხილვა უნდა მოხდეს გამოცდების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლებთან. ბრძანებებთან დაკავშირებულ საკითხზე კი დავით ლომინაშვილმა განაცხადა, რომ ამ ეტაპზე მსგავსი სამართლებრივი დარღვევა არ ფიქსირდება. თუმცა, სამართლებრივ საკითხებზე დაინტერესების შემთხვევაში დანიელ დავითაშვილს შეუძლია ინდივიდულურად ითანამშრომლოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტთან.

თამარ ქიტიაშვილმა წარმოადგინა მცირე ანგარიში 2013 წლის ჩარიცხვის ახალი მოდელის მოსამზადებელი სამუშაოების შესახებ და დასძინა, რომ აღნიშნული სამუშაოები საკმაოდ ფორსირებულ ვადებში იქნა შესრულებული. მიუხედავად ამისა, მაინც მოხდა დაინტერესებული მხარეების აქტიური ჩართვა და მათი შეხედულებების გათვლისწინება. ქალბატონმა თამარმა დეტალურად განიხილა ყველა ის ეტაპი, რაც წინ უსწრებდა ახალი მოდელის მომზადებასა და რეგისტრაციის პროცესის დაწყებას. თამარ ქიტიაშვილმა ასევე აღნიშნა, რომ 26-მა პროფესიული პროგრამების განმახორციელებელმა კერძო დაწესებულებამაც გამოთქვა თავიანთი აპლიკანტების ერთიან ბაზაში დარეგისტრირების სურვილი. მან ასევე ისაუბრა დასეწებულების მიერ ორგანიზებულ ტესტირებაზე. აღნიშნულ საკითხთან დაკავშრებით, სამინისტრომ სახელმწიფო კოლეჯების წარმომადგენლებს დაუგზავნა კითხვარი, რომლის შევსების საფუძველზეც გამოიკვეთა ის საჭიროებები, რომელზეც კოლეჯების წარმომადგენლებმა სამინისტორს მხრიდან მხარდაჭერის მიღების სურვილი გამოთქვეს.

ქეთევან ნატრიაშვილმა აღნიშნა, რომ დაფინანსების ის მოდელი, რომელსაც საბჭოს სხდომაზე ლაშა საღინაძე განიხილავს, არის გარდამავალი, ვინადან პროფესიული

პროგრამების მოდულურ მიდგომაზე გადასვილს შემთხვევაში მოხდება დაფინანსების მოდელის მოდიფიცირებაც.

ლაშა საღინაძემ განიხილა პროფესიული სტუდენტების დაფინანსების წესი. მან ისაუბრა ვაუჩერული დაფინანსების ორ სხვადახვა მოდელზე (კოეფიციენტური მოდელი, როდესაც მცირეკონტიგენტიანი ჯგუფის წევრების რაოდენობა მრავლდება შესაბამის კოეფიციენტზე და ფიქსირებული ვაუჩერის მოდელი, როდესაც პირდაპირ გამოიყოფა თითოეულ პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის ღირებულების ზედა ზღვარი). ბატონმა ლაშამ აღნიშნა, რომ შემოთავაზებული მოდელების შემუშავებაში სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობდა დაინტერესებული მხარეებთან. მისი აზრით, განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს ის შემთხვევა, როდესაც პროგრამაზე ხვდება იმდენად მცირე რაოდენობის სტუდენტი, რომ ვაუჩერით გაწერილი თანხა სასწავლო ხარჯებს ვერ ფარავს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია აღნიშნულ საკითხზე საბჭოს წევრების მოსაზრებებისა და შეხედულებების გაზიარება.

დანიელ დავითაშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ კოეფიციენტური გამოანგარიშებით შესაძლოა მოხდეს ბიუჯეტის გადახარჯვა. რაზეც ქეთევან ნატრიაშვილმა უპასუხა, რომ თუ შედგა მცირეკონტიგენტიანი ჯგუფი, ამ შემთხვევაში სახელმწიფო ვალდებულია გამოიჩინოს ჰუმანური დამოკიდებულება, მომხმარებელს უარი არ უთხრას განათლების დაფინანსებაზე. გარდა ამისა, კოეფიციენტური დაფინანსების შემთხვევაში პროფესიული პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულება იღებს ზუსტად იმ თანხას, რაც მას ჭირდება სასწავლო პროცესის წარმატებით წარმართვისათვის. ასევე ფინასური მენეჯმენტის კუთხით ეს მიდგომა ფიქსირებულ ვაუჩერთან შედარებით ბევრად უფრო გამართლებულია. კოეფიციეინტური მიდგომა მომგებიანია, როგორც მონიტორინგის, ასევე ხარისხის შენარჩუნების თვალსაზრისითაც.

დანიელ დავითაშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ მცირე კონტიგენტიანი ჯგუფების თავიდან ასაცილებლად საჭიროა ადგილებისა და პროგრამების განსაზღვრა მოხდეს რეგიონის მოთხოვნებიდან გამომდინარე. აღნიშნულ საკითხზე ნათელა პაპუნშვილმა განაცხადა, რომ კოლეჯში „აისი“ პროგრამები და პროგრამებზე ადგილების რაოდენობა განისაზღვრა სწორედ რეგიონის მოთხოვნებიდან გამომდინარე.

ქეთევან ნატრიაშვილმა აღნიშნა, რომ კოლეჯებმა უკეთ იციან რეგიონის მოთხოვნები და შესაბამისად მათი განაცხადები ადგილების რაოდენობებზე სწორედ სხვადასხვა გარემოებების გათვალისწინებით გაკეთდა, თუმცა რისკები მოსალოდნელი და გასათვალისწინნებელია.

დანიელ დავითაშვილმა დასვა კითხვა, რომელიც ეხებოდა კოლეჯებში ინსტრუქტორის შტატის დამატებასა და მისი ანაზღაურების განსაზვრას. აღნიშნულ კითხვაზე ლაშა საღინაძემ უპასუხა, რომ მსგავსი საკითხების განხილვა მოხდება საშტატო განრიგის დამტკიცების პერიოდში.

კახაბერ გვანცელაძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხრიდან უნდა დაფიქსირდეს ნორმატიულ აქტში გაწერილი პოზიცია, რომელიც შეეხება ახალ ფინანსურ მოდელში კერძო კოლეჯების ჩართვას.

ქეთევან ნატრიაშვილმა კერძო კოლეჯების ახალ ფინანსურ სქემაში ჩართვასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ პირველ ეტაპზე საჭიროა დაფინანსების სხვადასხვა მოდელების განხილვა, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის საკითხების მოგვარება, ფინასნური რესურსების მოძიება და მხოლოდ ამის შემდეგ გახდება შესაძლებელი მათი ჩართვა აღნიშნულ პროცესში. ქალბატონმა ქეთევანმა აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს ზემოთხსებენული საკითხების მოგვარება ვერ მოხერხდება. შესაბამისად, კერძო კოლეჯების დაფინანსების საკითხი ნორმატიულ აქტში ასახვას ვერ ჰპოვებს.

დავით ლომინაშვილმა წარადგინა პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულება.

გიორგი ბერაია დაინტერესდა იმ ფაქტით, თუ რის საფუძველზე მოხდება იმ პირების პროფესიულ სგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ვინც ვერ გადალახავს გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ დაწესებულ ბარიერს. დავით ლომინაშვილმა ეს ფაქტი ახსნა იმით, რომ ასეთი პირისათვის სახლემწიფო არ გამოყოფს ფინანსურ სახსრებს, თუმცა თუ პირი მიანც გამოთქვამს სწავლის სურვილ ის საკუთარი სახსრებითა და პასუხისმგებლობით განაგრძობს სწავლას.

სერგო მაისურაძემ დასვა კითხვა, რომელიც ეხებოდა პროფესიულ სტუდენტთა დენადობის შემთხვევას. ბატონი სერგო დაინტერესდა იმ ფაქტით, უწყდება თუ არა დაფინანსება პროფესიული პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებს იმ შემთხვევაში, როდესაც პროფესიული სტუდენტი სხვადასხვა მიზეზების გამო წყვეტს პროფესიულ პროგრამაზე სწავლას. ხსენებული საკითხი ლაშა საღინაძემ დეტალურად განმარტა და აღნიშნა, რომ ვინაიდან თანხის ჩარიცხვა ხდება ეტაპობრივად, სტუდენტის ერთიანი სიიდან ამოღების დაფიქსირების შემდეგ მომავალი ტრიმესტრიდან პროფესიული პროგრამის განმახორციელებელ დაწესებულებას თანხა აღარ გადაერიცხება, ხოლო უკვე ჩარიცხული თანხა მას უკან არ გამოეთხოვება. სერგო მიასურაძე ასევე დაინტერესდა იმ პროცედურით, რომელიც პირის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის წინა საფეხურის კომპეტენციის (არაფორმალური განათლების) აღიარებასა და მის შემდეგ საფეხურზე გადასვლას გულისხმობს. აღნიშნული პროცედურაზე დავით ლომინაშვილმა ბატონ სერგოს მიაწოდა ინფორმაცია და განუმარტა, რომ პირველ ეტაპზე ხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების მიერ კომპეტენციის აღიარება, რის შემდეგაც პიროვნება რეგისტრირდება ერთიან სარეგისტარციო ბაზაში და აბარებს გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ პროფესიულ გამოცდას.

დანიელ დავითაშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული ტესტები არის სხვადასხვა ქვეყნებიდან გადმოტანილი პლაგიატი. ნახსენებ საკითხზე ქეთევან ნატრიაშვილმა გააკეთა კომენტარი, რომ გამოცდების ეროვნული ცენტრის

მიერ ტესტების შემუშავებისას იქნა გაზიარებული მოწინავე ქვეყნების გამოცდილება. გარდა ამისა, ექსპერტების მიერ მოხდა ტესტების შინაარსის შესაბამისობის დადგენა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. ქალბატონმა ქეთევანმა აქვე დასძინა, რომ კონკრეტული კითხვების შემთხვევაში ნებისმიერმა დაინტერესებულმა პირმა შესაძლოა მიმართოს გამოცდების ეროვნულ ცენტრს და ცენტრის წარმომადგენლებთან ითანამშრომლოს აღნიშნულ საკითხზე.

შეჯამების სახით ქეთევან ნატრიაშვილმა დამსწრე საზოგადოებას სთხოვა საკუთარი მოსაზრების დაფიქსირება ვაუჩერული დაფინანსები ორი მოდელის (კოეფიცენტური და ფიქსირებული ვაუჩერის) შესახებ. დამსწრეთა უმრავლესობამ გამოთქვა მოსაზრება, რომ კოეფიცეინტური მოდელი უფრო ეფექტური და მოქნილია ვიდრე ფიქსირებული ვაუჩერი. მათი აზრით, აღნიშნული მოდელი უზრუნველყოფს ხარისხის შენარჩუნებასაც.